პატრიარქ კირილეს მილოცვა საქართველოს ეკლესიის წინამძღვარს მოციქულთასწორი ნინოს ხსენების დღესთან დაკავშირებით



პატრიარქ კირილეს მილოცვა საქართველოს ეკლესიის წინამძღვარს მოციქულთასწორი ნინოს ხსენების დღესთან დაკავშირებით

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 01.27.2023. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა სრულიად საქართველოს უწმინდესსა და უნეტარეს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს საქართველოს განმანათლებლისა და მოციქულთასწორის, წმინდა ნინოს ხსენების დღე მიულოცა.

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, უფალში საყვარელო ძმაო და თანამსახურო!

გულითადად გილოცავთ წმინდა ნინოს დღესასწაულს.

ამ დიდი ღვთისსათნო მოღვაწის მოციქულთა სწორმა ღვაწლმა, რომელმაც ივერია სახარების ნათლით გაანათლა, საფუძველი ჩაუყარა უწმინდესი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიულ არსებობას.

წმინდა ნინოს მსახურება, *წინამძღვრისა ქართველთა ერისა გ ზათა სიმართლისათა* (წმინდანის კონდაკი), ამჟამად ღირსეულად გრძელდება თქვენი უწმინდესობისა და უნეტარესობის მოშურნე წინამძღვრობით, რომელიც ზრუნავთ იმაზე, რომ ყველა კაცი გადარჩეს და ეზიაროს ჭეშმარიტების შემეცნებას (1 ტიმ. 2:3).

ლოცვით გისურვებთ თქვენ და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მთელ სისავსეს ძალების სიმტკიცეს, სულის სიმხნევეს, სულიერ სიმშვიდესა და კეთილდღეობას.

უფალში ძმური სიყვარულით,

+ კირილე,

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89994/